ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარის

ლევან არველაძის

2021 - 2022 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ
ანგარიში

მოგახსენებთ, რომ ვარ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. საკრებულოში გახლავართ ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარე, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრი და ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი.

2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდის განმავალობაში სულ მოწვეულ იქნა საკრებულოს 15 სხდომა, ბიუროს 17 სხდომა. მიღებულია 113 დადგენილება და 649 განკარგულება.

საანგარიშო წლის პერიოდში ფრაქციას „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ ჩატარებული აქვს 23 სხდომა, დავესწარი 18 სხდომას, სადაც განვიხილეთ და სხვადასხვა სახის რეკომენდაციები შევიმუშავეთ 36 საკითხზე.

ეკონომიკური განვითარების საინვესტიციო პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისია

2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის 1 ნოემბრამდე ჩატარდა ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის 13 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა კომისიის კომპეტენციაში შემავალი 25 სხვადასხვა საკითხი: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურიდან მოწოდებული პროექტები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებებში ცვლილების შეტანის შესახებ.

ამასთან, აღსანიშნავია კომისიის მიერ განხილული და საკრებულოს სხდომებზე წარდგენილი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურთან ერთად შემუშავებული და ინიცირებული ის

პროექტები და ღონისძიებები, ასევე ამ პროექტების განხორციელებით უკვე მიღწეული თუ მოსალოდნელი შედეგები, როგორიცაა: ვაჭრობა, მრეწველობა, ტრანსპორტი და ლოჯისტიკა, მშენებლობა, ჯანდაცვა, განათლება, საფინანსო სექტორი, სასტუმროები და რესტორნები.

განხილ;ული იქნა, აგრეთვე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროექტი თანაბარი განვითარებისთვის“.

პროექტი წარმოადგენს საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროექტი თანაბარი განვითარებისთვის“ ფარგლებში, 2021 წლის 10 დეკემბერს ხელი მოეწერა სასესხო ხელშეკრულებას 101 000 000 (ას ერთი მილიონი) ევროს ოდენობით, რომელიც მიზნად ისახავს საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებასა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას საქართველოს მასშტაბით, მათ შორის თბილისში, შემდეგი მიმართულებით - ინკლუზიური და კლიმატის ცვლილებისადმი მედეგი ურბანული ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სფეროები, საქართველოს ტურისტულ კლასტერებში ხელმისაწვდომობის, შეკავშირებულობისა და მობილობის გაუმჯობესება და მდგრადი ურბანული და რეგიონალური განვითარებისათვის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება.

საქართველოში ახალი კორონა ვირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ზოგიერთი პირის მიმართ ხელშემწყობი ღონისძიება

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, პირდაპირი განკარგვის ფორმით, იჯარის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთათვის 2021 წლის 1 თებერვლიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე შესაბამისი იჯარის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საიჯარო ქირა შეიცვალოს და განისაზღვროს 0 (ნული) ლარის ოდენობით; ზემოაღნიშნულ პერიოდზე გადასახდელი საიჯარო ქირა შეადგენს <u>1 192 164</u> ლარს (მოჯარეებს შორის გაფორმებულია 153 ხელშეკრულება).
2. მოიჯარეს, რომელმაც 2021 წლის 1 თებერვლიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე ფაქტობრივად გადაიხადა/გადაიხდის საიჯარო ქირას/ქირის ნაწილის ან/და ამავე პერიოდზე საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო დარიცხულ პირგასამტეხლოს, გადახდილი ქირა/ქირის

ნაწილი/პირგასამტეხლო ჩაეთვალოს მომავალი გადაუხდელი პერიოდის საიჯარო ქირის ანგარიშში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გადახდილი პერიოდის პროპორციულად;

3. მოიჯარეს, რომელსაც გადახდილი აქვს 2021 წლის 1 თებერვლიდან პერიოდზე საიჯარო ქირა/ქირის ნაწილი და იჯარის ხელშეკრულების ვადა იწურება 2023 წლის 1 იანვრამდე, ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე დარჩენილ გადაუხდელ პერიოდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საიჯარო ქირა შეეცვალოს და განესაზღვროს 0 (ნული) ლარის ოდენობით;

4. მოიჯარეს, რომელსაც გადაუხდელი აქვს 2021 წლის 1 თებერვლიდან პერიოდზე საიჯარო ქირა/ქირის ნაწილი და იჯარის ხელშეკრულება შეუწყდა/ვადა ამოეწურა ამ განკარგულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 30 ივნისის N21.909.1018 განკარგულების გამოცემის მომენტამდე, 2021 წლის 1 თებერვლიდან შესაბამისი ხელშეკრულების შეწყვეტამდე/ვადის ამოწურვამდე გადაუხდელ პერიოდზე საიჯარო ქირა შეეცვალოს და განესაზღვროს 0 (ნული) ლარის ოდენობით და გათავისუფლდეს შესაბამისი პირგასამტეხლოსგან;

5. გადახდილი საიჯარო ქირა და პირგასამტეხლო არ ექვემდებარება დაბრუნებას.

6. მოიჯარეები განთავისუფლდნენ შესაბამისი იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დაკისრებული/დასაკისრებული პირგასამტეხლოსგან 2021 წლის 1 თებერვლიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე;

კომისიის სხდომაზე განხილული იქნა აგრეთვე, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და შპს „ალმას“) შორის 2019 წლის 6 თებერვლის „შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“) ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემისა და ნებართვის მქონე თეთრ ტაქსებზე რეკლამის განთავსების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

აღნიშნული ცვლილების თანახმად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ინტერესების გათვალისწინებით, ანალოგიურ საკითხზე ხელშეკრულებაში 2021 წლის 09 თებერვალს განხორციელებული ცვლილების მსგავსად, მხარეთა მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული იქნა შეთანხმება ხელშეკრულების მოქმედების ვადის შესაბამის დასკვნაში მითითებულზე მცირე ხნით, დამატებით 12 (თორმეტი) თვით (2041 წლის 07 აგვისტომდე) გაგრძელების თაობაზე.

კომისიის სხდომებზე განხილული იქნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის #71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ პროექტები, ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით, შპს ,,ვი.ვი.ენ კომპანის“ მიმართ მისამართზე - ქალაქი თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი VI, კორპუსი არსებულ მიწის ნაკვეთზე ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე, დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ” პროექტი და ა.შ.

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია
(კომისიის წევრი)

2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის 1 ნოემბრამდე ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ჩატარდა 32 სხდომა. დავესწარი 28 სხდომას, რომელზედაც განხილული იქნა, კომისიის კომპეტენციაში შემავალი 301 საკითხი.